

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, პროფესორი

**პირველი მსოფიო ომი და „საქართველოს დამკობის“
ეპოქული გამოცემა – „ქართული გაზეთი“**

მიმდინარე წელს პირველი მსოფლიო ომის დამთავრებიდან ასი წელი სრულდება. ეს იყო მანამდე არნახული მასშტაბის ომი, რომელიც 1914 წლის ზაფხულში დაიწყო და თითქმის ოთხნახევარი წელი გრძელდებოდა. ომი, რომელმაც 10 მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ხოლო 25 მილიონამდე ადამიანი კი დაჭრა და დაასახიჩრა. მატერიალურმა ზარალმა 58 მილიონ ოქროს მანეთს მიაღწია. ომის დასრულებისათვის მასში მსოფლიოს 33 დიდი და პატარა სახელმწიფო მონაწილეობდა, რომელთაგან 48 მილიონი ანტანტის ქვეყნების, ხოლო 25 მილიონზე მათი მათ მოწინააღმდეგეთა მხარეს იბრძოდა. ომი, რომლისთვისაც კარგა ხნით ადრე მიმდინარეობდა სამზადისი, მის ინიციატორებს საწაღმართო ამოცანების გადაწვეტისათვის კი არ სურდათ, არამედ სხვისი ტერიტორიების მიტაცებისა და სიმდიდრეთა ხელში ჩაგდების საშუალებად ესახებოდათ. აქედან გამომდინარე, ყველა ქვეყნის ხელისუფლებას კონკრეტული მიზანი ამოძრავებდა. მათი შეთანხმებები და კავშირებიც ამ პრინციპებზე იყო დამყარებული. ასე დადგნენ ერთმანეთის პირისპირ ორ ბანაკად გაყოფილი ევროპის სახელმწიფოები, რომლის ერთ მხარეს გერმანია, ავსტრია-უნგრეთი და მისი მოკავშირეები, ხოლო მეორეზე ანტანტის ბლოკში გაერთიანებული ქვეყნები – ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი და მათი მხარდამჭერები იყვნენ. ახლა საჭირო იყო საბაზი, რათა პრაქტიკული ქმედებები დაეწყოთ და ისიც გამოჩნდა... ეს მოხდა 1914 წლის 23 ივლისს, როცა სარაევოში ავსტრიის ტახტის მემკვიდრე ჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი მოკლეს. 28 ივლისს ავსტრია-უნგრეთმა ომი გამოუცხადა სერბეთს, რომელმაც დახმარებისათვის რუსეთის მთავრობას მიმართა. მეორე დღეს რუსეთმა საყოველთაო მობილიზაცია მოახდინა, მაგრამ გერმანიამ

დაასწრო და 1 აგვისტოს ომი გამოუცხადა რუსეთს, 3 აგვისტოს კი საფრანგეთს, ხოლო 4 აგვისტოს ინგლისმა დაძრა თავისი ჯარები გერმანიის წინააღმდეგ [17, 474].

აქედან მოყოლებული, ომის მიმდინარეობისას კიდევ არაერთი საიდუმლო შეთანხმება და ხელშეკრულება იქნა დადებული სხვადასხვა სახელმწიფოთა შორის. მათგან აღსანიშნავია 1914 წლის 2 აგვისტოს გერმანიასა და ოსმალეთს შორის დადებული საიდუმლო შეთანხმება და სხვ. 2 ნოემბერს რუსეთმა ომი გამოუცხადა ოსმალეთს, 3 ნოემბერს კი საომარი მოქმედებები დაიწყო ამიერკავკასიაში. ასე აღმოჩნდა საქართველო ფრონტის წინა ხაზზე... სამხრეთის საზღვრების დაცვა ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე რუსეთის ცარისტული ხელისუფლების საზრუნავად იქცა. ალბათ, ამითაც იყო განპირობებული 1914 წლის ნოემბრის ბოლოს იმპერატორ ნიკოლოზ II-ის თბილისში ჩამოსვლა და მთელს კავკასიაში სამხედრო-პოლიტიკური ვითარების ადგილზე გაცნობა. ამას მალე რეგიონში მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებების განხორციელება მოჰყვა: ავადმყოფი ვორონცოვ-დაშკოვის ნაცვლად კავკასიაში მეფისნაცვლად და ფრონტის სარდლად, მეფის ბიძა, დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვი დაინიშნა. ხოლო უფრო ადრე, საქართველოს ეგზარქოსად ეპისკოპოს ალექსი მოლჩანოვის ადგილზე მთავარეპისკოპოსი პიტირიმ ოქნოვი იქნა დადგენილი, რომელიც 1915 წლის დასასრულამდე განაგებდა ივერიის ეკლესიის საქმეებს.

აღსანიშნავია, რომ თბილისში მყოფი იმპერატორი პირადად შეხვდა აქაური მოსახლეობის მაღალი წოდების წარმომადგენლებს, მათ შორის ქართველი თავად-აზნაურობის რჩეულ ნაწილს მარშალ კონსტანტინე აფხაზის ხელმძღვანელობით. თავისი თანამდებობრივი მდგომარეობის გამო კ. აფხაზს სამჯერ მიეცა შესაძლებლობა სიტყვით მიემართა იმპერატორისათვის. პირველად ეს მოხდა თბილისის რკინიგზის სადგურის დარბაზში დახვედრის დროს, შემდეგ მეცისნაცვლის სასახლეში სამხედრო და სამოქალაქო წარმომადგენლებთან აუდენციისას და ბოლოს – ეკატერინე სარაჯიშვილის სახლში (დღევანდელი მაჩაბლის ქ. №13) გაშლილ სუფრასთან, სადაც მან იმპერატორს ჯიხვის რქისგან დამზადებული უზარმაზარი მოვერცხლილი ყანწი მიართვა ქართული წარწერით და ქართველი თავად-აზნაურობისა და ქართველი ხალხის სახელით პირობა მისცა, რომ მტერზე გამარჯვების სურვილით გამსჭვალულნი ბოლომდე იბრძოლებდნენ...

როგორც ერთი იმდროინდელი წყარო იუწყება, ხელმწიფე იმპერატორს უნებებია და საპასუხოდ იქ დამსწრეთათვის მიუმართავს:

„მხურვალედ გმადლობთ გულითადი დახვედრისათვის და გულითა ვსვამ ტფილისის თავად-აზნაურობის სადღეგრძელოს, ბატონებო“ [8, 30-31].

აქვე შეიძლება ისიც გავიხსენოთ, რომ I მსოფლიო ომის წლებში პატარა საქართველოდან, ანუ იმდროინდელი ადმინისტრაციული დაყოფით – თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებიდან, ბათუმ-ყარსის ოლქებიდან და სოხუმის ოკრუგიდან – 400.000-ზე მეტი ადამიანი იყო მობილიზებული, მათგან 200.000-ზე მეტი კი უშუალოდ ბრძოლის ველზე ღვრიდა სისხლს... განსაკუთრებული თავგანწირვის მაგალითებს აჩვენებდნენ ის ქართველები, რომლებსაც უშუალოდ მშობლიური მინა-წყლის დაცვა უბედობდათ.

ყოველივე ეს ისტორიული ფაქტია და სიმართლეს ვერავინ გაეცევა, თანაც მაშინ, როცა საქმე, პირდაპირი გაგებით, საკუთარი კერის, საკუთარი მიწის დაცვას ეხებოდა, მაგრამ ეს როდის ნიშნავდა რუსეთის ინტერესებისათვის თავგანწირვას საკუთარის დავინყების ხარჯზე. ერის მოწინავე ნაწილისათვის, მისი პოლიტიკური ელიტისათვის, უპირველესი საფიქრალი და საზრუნავი ის იყო, თუ როგორი შედეგით დამთავრდებოდა ეს არნახული სისხლისღვრა ამ ორომტრიალში მისდაუნებურად მოხვედრილი ჩვენი სამშობლოსათვის.

ქართველ ხალხს საუკუნოვანი გამოცდილება უკვე კარგად ჰქონდა გასიგრძეგანებული და დაჯამებული, თუ რა საშინელებანი მოეტანა მისთვის სამოკავშირეოდ და სამოყვროდ მოწვეულ რუსის ხელისუფლებას; თვალნათლივ ხედავდა იმასაც, რომ არც ახალი საუკუნის დასაწყისიდან ისახებოდა რაიმე საიმედო პერსპექტივები ქვეყნის პოლიტიკური ავტონომიისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის დასაბრუნებლად. საუბედუროდ, ცოცხალთა შორის აღარ იყვნენ ერის მომავალზე მოფიქრალი უპირველესი მოთავენი – დიდი ილია და მისი მიმდევრები. აღარც პოლიტიკურ პარტიათა შორის ჩანდა ეროვნული ინტერესების დამცველი ანგარიშგასაწევი ძალა... ერთადერთ იმედად საზღვარგარეთ შექმნილი „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ კიაფობდა, რომელიც, მართალია, მშობლიურ ნიადაგს მოწყვეტილი იყო, მაგრამ თავისი საკუთარი ბეჭდური ორგანოების მეშვეობით, მაინც ახერხებდა თავისუფალი აზრის მიწოდებას მშობელი ხალხისათვის, რაც უპირველესად რუსეთის კლანჭებისაგან თავის დაღწევითა და დამოუკიდებლობის მოპოვებით უნდა დამთავრებულიყო. ჯერ კიდევ 1913 წლის იანვარში, პეტრე სურგულაძის რედაქტორობით ქუენევაში გამოსული ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“ თავის

ფურცლებზე დასტამბული ყოველი მასალით ამ იდეის განხორციელებას ისახავდა მიზნად.

ჟურნალის რედაქციის აზრით, ქართველი ერი ისტორიული პირობების გამო უდიდეს განსაცდელის წინაშე იდგა და მას დაშლა-გაქრობა მოელოდა. ამიტომ „ეროვნული თვითარსებობის დაცვისათვის გეგმის დროული შემუშავება და მის განსახორციელებლად მთელი შემოქმედი საქართველოს თავის მოყრა იყო საჭირო. ეს კი შესაძლებელს გახდიდა გარეშე და შინაური მტრების შემოტევების მოგერიებას და ერის პოლიტიკრი დამოუკიდებლობის მოპოვებას [18, 21-22].

ჟურნალში ვრცლად იყო საუბარი იმაზეც, თუ რა მოუტანა ჩვენს ქვეყანას ასი წლის მანძილზე ერთმორწმუნე რუსეთთან შეერთება-დაკავშირებამ; რომ ერთმორწმუნეობაზე აქცენტირება ჩვეულებრივი ფრაზა იყო, რადგან „ერთმორწმუნე რუსეთმა“ ყველა მტერზე მეტი ზიანი მოგვაყენა; რომ სიმართლისაგან შორს იყო ისიც, თითქოს რუსის ბიუროკრატია გვახრჩობდა, თორემ რუსის ხალხი დიდ გულმონყალებას იჩენდა ჩვენს მიმართ... „ტყუილია, თითქოს მხოლოდ რუსის ბიუროკრატია იყოს რუსის პოლიტიკის მატარებელი. რუსის პოლიტიკას ჰქმნის რუსი ერი თავის მთავრობის ხელმძღვანელობით, რომელიც მიმართულია ცენტრალიზმის, სხვა ერთა დაცემისა და გათქვეფისაკენ; რომ რუსის დემოკრატიის მესიანიზმი მხოლოდ ერთგვარი ფილენჯის ქარი იყო ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში, რაც მის მონურ გრძნობას კვებავდა და ათახსირებდა. ამიტომ საჭირო იყო ბრძოლა, თორემ საბოლოოდ სულსაც კი წაგვართმევენ“-ო [18, 23-24].

უაღრესად თანადროულად ჟღერდა ჟურნალში დასტამბული ეს სიტყვებიც: „ბარბაროსული, დესპოტიური რუსეთი ცუდის მეტს რას ასწავლის სხვას, აბა რა აქვს მას პოლიტიკაში გარდა დაჩაგვისა, დაწვისა და დარბევისა. ეს მუდამ შიმშილობის, სიბნელისა და მათრახის ქვეყანაა. მას შიშით შეჰყურებს დემოკრატიული ევროპა, არ მოგვედაოს, არ წაგვლეკოსო... არც ქართველი ერი არ დაიღუპებოდა ურუსეთოდ, თუ იგი თავის მდიდარ ეროვნულ კულტურას გააპოხიერებდა კაცობრიობის საუკეთესო მიღწევებით და ამალღებოდა მთელი კაცობრიობის თვალში“ [18, 5-6].

ცოტა მოგვიანებით ჟურნალი იმაზეც ამახვილებს ყურადღებას, თუ რატომ სურდა ქართველ ხალხს თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობა და რუსეთის კოლონიური უღლის გადაგდება... „ბარბაროსულ მაჯლაჯუნას მთელი ჩვენი სამშობლო ერთ დიდ სატუსალოდ უქცევია, სადაც სული გვეხუთება, გასაქანი არა გვაქვს... რუსეთის ცი-

ხე, თვალუნვდენელი მისი გაყინული სამფლობელო, საუკეთესო ქართველთა სისხლით ირწყვება...“, ამიტომ არ შეიძლება იმასთან შეგუება, „თუ როგორ გვართმევენ საუკუთარ მინა-წყალს, ენას, ადათ-წესებს, ზნე-ჩვეულებებს, როგორ გვაწინყებენ საკუთარ ისტორიას...“; ხოლო ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევისათვის საჭირო იყო გვექონოდა: ჩვენი სამართალი, ჩვენი ეკლესია, ჩვენი საკუთარი საზოგადო დანესებულებანი ქართულის ენითა და ქართველთა სულთაგან შეთანხმებული“ [18, 9-10].

ჟურნალი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მუსლიმი ქართველებისადმი და მათი ისტორიული საცხოვრისისადმი როგორც ოსმალეთის, ისე რუსეთის დამოკიდებულებას... ოსმალები სარწმუნოებაგამოცვლილ ქართველობას მუდამ არწმუნებდნენ, რომ გულიდან ამოეგლიჯათ ყოველივე ქართული: ენა, ზნე-ჩვეულება, ეროვნული გრძნობა და შეეძლებინათ ქრისტიანი თანამოაზრენი, ანუ ისინი, რომლებთანაც ერთად საუკუნეთა მანძილზე საქართველოს ისტორიას ქმნიდნენ... ზოგჯერ მიზანსაც კი აღწევდნენ და გამაჰმადიანებული ქართველობის შიდა ვილაეთებში გადასახლებას ახერხებდნენ; ამაში ხელშეწყობას არც რუსეთის ხელისუფლება ერიდებოდა, რადგან ქართველთა ნასახლარებზე შემდეგ სხვა ტომის ხალხთა ჩამოსახლებას ახდენდა... ჟურნალის რედაქცია სათანადო რეაგირების გარეშე არ ტოვებდა იმასაც, თუ რა ხრიკებს მიმართავდნენ ქართულ-აფხაზური ურთიერთობის დასაძაბავად და საჯაროდ აცხადებდა: აფხაზეთი საქართველოს ნაწილია და რუსის ხელისუფლებამ „როგორი ჯოჯოხეთური მანქანებიც არ უნდა იხმაროს ეროვნულად აფხაზეთის მისგან ჩამოსაშორებლად, მიზანს მაინც ვერ მიაღწევს, რადგან აფხაზები ჩვენი მონათესავენი არიან ენითა და კულტურით და ეს ტერიტორიაც საქართველოს პოლიტიკური სხეულის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს“-ო [18, 12].

ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“, რომლის ბოლო, მეოთხე ნომერი 1914 წლის აპრილში გამოვიდა, აგრძელებდა საუბარს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების აუცილებლობაზე და აღნიშნავდა: „ქართველ ერს აუტანელი პოლიტიკური პირობების წყალობით ტერიტორიებს ართმევენ, მას ათასწლობით დასახლებული მინა-წყლიდან ერეკებიან, ჯავახეთი და სამცხე რუსის მთავრობამ სომხებით აავსო, ამგვარსავე პოლიტიკას ეწევა ბათუმისა და სოხუმის ოლქებშიც და არა-თუ ანმყოში სჩაგრავენ მას არამედ მომავლის იმედის მოსპობასაც სცდილობენ“-ო [20, 18].

პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე განსაკუთრებული აქტიური მოქმედებები დაიწყო საზღვარგარეთ დაარსებულმა „საქართვე-

ლოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა“, რომლის მიერ გაკეთებულ საქმეთა შესახებ მოგვიანებით მის. წერეთელი წერდა: „როდესაც განსვენებული პეტრე სურგულაძე ყენევაში გადასახლდა საქართველოთგან, იქ დააარსეს მან, ლეო კერესელიძემ, მისმა ძმამ გიორგიმ და მათმა მეგობარმა „სეპარატისტთა ჯგუფი ქართველთა“, რომლის ორგანო იყო „თავისუფალი საქართველო“. ამ ჯგუფმა და მისმა ორგანომ მოამზადეს ქართული აზრი მომავალ დიდ საქმეთა გასაგებად ამ დიდ ომში სამოქმედო... ამ „ჯგუფის“ სახელით დაიჭირა ლეომ გერმანელებთან საქმე 1914 წლის ომის გამოცხადებისთანავე: ჯერ ბერლინში გერმანელებთან და მერე სტამბოლში თურქებთან დასვა პირობანი, რომელთა ძალითაც ქართველებს ჯარი უნდა შეედგინათ ოსმალეთის ტერიტორიაზედ და ებრძოლათ თურქებთან და გერმანელებთან ერთად რუსეთის წინააღმდეგ, ხოლო თუ გამარჯვება რუსეთის მტრებს დარჩებოდათ, საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა ყოფილიყო ცნობილი გამარჯვებულთაგან იმ საზღვრებში, რომელშიც სამაჰმადიანო საქართველოც შედიოდა. მალე გიორგი მაჩაბელიც და მეც, რომელთაც აგრეთვე საქმე გვექონდა დაწყებული იქ გერმანელებთან, შევუერთდით სტამბოლში პ. სურგულაძეს, ლეოს, მის მის ძმას გიორგის, ნ. მაღალაშვილს და სხვებს“ [15, 43-44].

ამ მოლაპარაკებების შედეგად მიღებული შეთანხმების პრაქტიკულად განხორციელების საქმეში აქტიურ როლს თამაშობდნენ – გერმანიის გენერალური შტაბის პოლიტიკური სექციის უფროსი მრჩეველი რუდოლფ ნადილნი, „ლეგაციის მდივანი“ ოტო გიუნტერ ფონ ვეზენდონკი, ფელდმარშალი ფონ დერ გოლიცი, გრაფი შულენბურგი, გენერალი ფონ კრესსენშტეინი, გენერალი ფონ კრესი და სხვები.

სწორედ მათი რჩევით და დახმარებით „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს“, რომელშიც ზემოთდასახელებულ ქართველებს გარდა მელიტონ ქარცივაძე, ზია-ბეგ აბაშიძე, შალვა ვარდიძე და სხვები შეუყვანია, უფლება მიუღია, შეეკრიბათ ის ქართველები, რომლებიც ომის დაწყების მიზეზით ჩარჩენილნი იყვნენ გერმანიაში და ეუნწყებინათ მათთვის, რომ ყველა ისინი განთავისუფლებულნი იქნებოდნენ მაშინვე, როცა საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე დგომის სურვილს განაცხადებდა და მის განსახორციელებლად იბრძოლებდა.

ამ შეთანხმების შედეგი იყო ის, რომ თურქეთში ქართველთაგან და კავკასიის ხალხთა წარმომადგენლებისაგან შექმნილ ქართულ ლეგიონს გერმანია აფინანსებდა, ხოლო საერთო ხელმძღვანელობას

გრაფი შულენბურგი და ლეო კერესელიძე უწევდნენ... ფართო ხასიათი მიეცა ომის დროს ტყვედ ჩავარდნილ ქართველთა შორის ეროვნული დამოუკიდებლობის იდეის პროპაგანდას, რაშიც უდიდეს როლს ასრულებდა ახლად დაარსებული გაზეთი „ქართული გაზეთი“. იგი ორკვირეული გამოცემა იყო, რომელიც 1916-1918 წლებში ბერლინში იბეჭდებოდა. რედაქციის საქმიანობას წარმართავდნენ ძმები ლეო და გიორგი კერესელიძეები, ნესტორ მალალაშვილი და სხვები. გაზეთის სულ 58 ნომერი გამოვიდა, მათგან 18 – 1916 წელს, 22 – 1917-ში, ხოლო 18 – 1918-ში. საქართველოში გაზეთის კომპლექტები (თუმცა არასრული) დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ და თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკებში. მართალია, ჩვენში გაზეთის შემოტანა და გავრცელება დიდ სიძნელებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ მას „ევროპაში ათასობით ქართველი მკითხველი ჰყავდა, რომლებიც, ძირითადად, თავიანთ საყვარელ სამშობლოს დაშორებულნი და მონყვეტილნი, ქართველი ტყვეები იყვნენ. გაზეთი საშუალებას აძლევდა ყველა მათგანს თავიანთი აზრი გამოეთქვა სხვადასხვა მათთვის საინტერესო საკითხზე...“ [29, 1].

გაზეთის მიზანი და ამოცანები გაცხადებული იყო პირველი ნომრის სარედაქციო წერილში, რომელშიც ნათქვამი იყო: „გერმანიაში და ავსტრიაში ბევრი ქართველი ტყვეა. უმეტესმა მათგანმა ქართულის მეტი არც ერთი ენა არ იცის... ენის უცოდინარობის გამო არ შეუძლიანთ თვალყური ადევნონ ქართულ ცხოვრებას; არც იქ გამომავალ ყურნალ-გაზეთებს აქვთ საშუალება ჩვენს ტყვეებს მიაწოდონ მათი სამშობლოს ამბები. ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ ქართულ ენაზე გამოვცეთ პერიოდული გაზეთი და შეძლებისდაგვარად ვემსახუროთ ქართველ ტყვეთა ინტერესებს“ [1, 1-2].

დანაპირების შესაბამისად, მიუხედავად მძიმე სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარებისა, „ქართული გაზეთის“ რედაქცია ახერხებდა, თავისი მკითხველებისათვის საკმაოდ ფართო ინფორმაცია მიეწოდებინა. მათ შორის, სხვადასხვა ფრონტებზე მიმდინარე საბრძოლო ოპერაციებზე, ზოგიერთ საერთაშორისო შეხვედრაზე მიღებულ დოკუმენტთა მნიშვნელობაზე; დაჭრილ-დახოცილ, გარდაცვლილ, თუ ტყვედჩავარდნილ ქართველ მებრძოლთა შესახებ; გამოჩენილ მოღვაწეთა დამოკიდებულებაზე, მიმდინარე ომზე, ომის შემდგომ მსოფლიოს მონყობაზე და სხვ. გაზეთში კვალიფიციური მასალებია დაბეჭდილი არა მარტო ქართველთადმი რუსთა დამოკიდებულებაზე, არამედ ამ მპყრობელი ერის დაუნდობლობებზე იმპერიაში შემავალი სხვა ხალხების მიმართაც და ა. შ.

ამ რიგის მასალათა რიცხვს განეკუთვნება ქ. სტოკჰოლმიდან აშშ-ის პრეზიდენტის – ვუდრო უილსონის სახელზე გაგზავნილი „რუსეთის ჩაგრულ ერთა ლიგის მოწოდება“, რომელსაც ფინეთის, ლიტვის, ლატვიის, პოლონეთის, უკრაინის, ებრაელების და მუსლიმების წარმომადგენლებთან ერთად, ქართველი ხალხის სახელით, ხელს აწერს მიხაკო წერეთელიც.

ქართველი ერის შესახებ „მოწოდებაში“ აღნიშნულია: „ჩვენ, ქართველები, უდიდესი, უძველესი და უკულტუროსნესი ქრისტიანი ერი კავკასიისა, საერთაშორისო ტრაქტატებით ნებაყოფლობით შევეურთდით რუსეთს. ამ უკანასკნელმა კი ეს ხელმოწერილი ტრაქტატები დაარღვია. მოსპო ჩვენში მეფობა და სამეფო სახლი, მოსპო დამოუკიდებლობა ეკლესიისა, რომელიც მეხუთე საუკუნიდან ავტოკეფალური იყო; მოსპო ყველა ქართული ეროვნული დაწესებულება. რუსის მთავრობამ გასძარცვა ქართველი გლეხი და მისგან წართმეული მიწები რუსსა და სხვა უცხო ტომის გლეხებს დაურიგა. 1905-1907 წლებში რუსებმა ჩვენი ქვეყანა კვლავ სულერთიანად გაანადგურეს; ომის გამოცხადებისთანავე საუკეთესო ქართველობა ომში წარეკეს, ხოლო ქართველ მაჰმადიანთა პროვინცია, აჭარა, სრულიად უმიზეზოდ მთლად გაანადგურეს. მშიერი, ტიტველი და სასოწარკვეთილი 50.000-მდე აჭარელი იძულებული გახადეს სამშობლო დაეტოვებინა და შავი ზღვის ამარა უცხოეთში გადახვენილიყვნენ“ [18, 5].

იქვე, უკრაინელებიც ხაზგასმით მიუთითებდნენ იმ ხვედრზე, რაც რუსეთის დაუნდობელი მოქმედებების შედეგად ჰქონდათ თავს დამტყდარი და სხვებთან ერთად მოითხოვდნენ: „გვიშველეთ, დაგვიცავით სრულის მოსპობისაგან!“-ო.

„ჩვენ, უკრაინელებს, რუსეთმა წაგვართვა აღთქმული ავტონომია, მოგვისპო დამოუკიდებლობა ეკლესიისა, განაძევა ენა 30 მილიონი ხალხისა საზოგადოებრივ ცხოვრებიდან და სკოლებიდან“. ომის გამოცხადებისთანავე მოსპეს ჩვენი კულტურული დაწესებულებანი და პრესა. როდესაც რუსები გალიციასა და ბუკოვინას შემოესივნენ, მაშინ კიდევ უფრო ნათლად დავინახეთ, რომ რუსეთს სწადია ჩვენი ერის მოსპობა. ყოველსავე, რასაც კი უკრაინული ელფერი ედვა, დაუნყეს სასტიკი დევნა, დაატუსაღეს აუარებელი ხალხი და მყისვე შეუდგნენ მთელი ერის გარუსებას; თანაც კი რუსის მთავრობა უსირცხვილოდ გაიძახოდა – გალიციის განმათავისუფლებელნი ვართო! [18].

ვიდრე „მოწოდების“ ტექსტს გამოაქვეყნებდა, მანამდე „ქართულმა გაზეთმა“ თავის მკითხველებს საკმაოდ ვრცელი და საინტერე-

სო წერილი მიაწოდა ავსტრიის პარლამენტში უკრაინულ დეპუტატ-თა ჯგუფის თავმჯდომარის, დოქტორ კონსტ. ლევიტსკისა, რომელიც იმდენად ეხმიანება უკრაინასთან და საქართველოსთან რუსეთის დღევანდელ ურთიერთობას, რომ მას ოდნავ შემოკლებით აქვე წარუდგენ დღევანდელ მკითხველ საზოგადოებას:

„ბატონო რედაქტორო! – წერდა დოქტორი კონსტ. ლევიტსკი. მაქვს პატივი გთხოვოთ, კეთილინებოთ და პატარა ადგილი დამითმით თქვენს პატივცემულ გაზეთში, რათა საშუალება მომეცეს ნათელგყო უკრაინელი ერის მდგომარეობა ამ ომში.

აღმოსავლეთ გალიციის, ჩრდილო-დასავლეთი ბუკოვინისა და ჩრდილოეთი ჰუნგრეთისა ოთხი მილიონ ორასი ათასი (4.200.000) უკრაინელით არის დასახლებული; 30 მილიონი (30.000.000) უკრაინელი რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებში სცხოვრობს. მათ შორის – ხოლმისის, პოდოლის, ვილნოს, ხერსონის, კიევის, ჩერნიგოვის, პოლტავის, ხარკოვის, ეკატერინოსლავლის, ტავრიდისა და ყუბანის გუბერნიები მთლიანად, ხოლო ბესარაბიის, გროდნოს, მინსკის, კურსკის, ვორონეჟის, დონის, სტავროპოლის და სხვა გუბერნიები ნაწილობრივ არიან დასახლებულნი უკრაინელებით. ესენი არიან მცირე-რუსები (მალორუსები). ეს სახელი მათ რუსეთის მთავრობამ მოახვია თავს XVII-XVIII საუკუნეში, ხოლო ავსტრო-უნგრეთში მცხოვრებ უკრაინელებს მათვე რუთერები უწოდეს XVIII საუკუნეში. ახლა ისინი უკრაინასა და უკრაინელებს უწოდებენ თავის თავს – 85.000 ოთხკუთხი კილომეტრის ფართობის მქონე საკუთარ ქვეყანაში.

უკრაინელები სრულებითაც არ წარმოადგენდნენ რუსის ხალხის (ეგრეთწოდებული ველიკორუსების) ერთ შტოს. ეს ერი (ე. ი. უკრაინელები, ან როგორც რუსები ეძახიან მათ – მალორუსები), ისევე განსხვავდებიან რუსებისაგან, როგორც პოლონელები, ან ბულგარელები. უკრაინელები ეკუთვნიან სულ სხვა ანთროპოლოგიურ რასას, ვიდრე რუსები და მათ ეთნოლოგიურ ცხოვრებას, მათი მშვენიერი ხალხური პოეზიითა და ხელოვნებით არაფერი საერთო არ აქვს რუსების ცხოვრებასთან.

უკრაინელთა ენა სრულებით არ არის ერთი დიალექტთაგანი რუსული ენისა, იგი მისგან უფრო განსხვავდება, ვიდრე ჩეხური პოლონურისაგან. ერთადერთი ოფიციალური ენის, რუსეთის გაუგებრობის გამო, რუსეთის უკრაინული პროვინციების სკოლებში, წერაკითხვის უცოდინართა რიცხვი გასაოცარია. პოდოლის გუბერნიაში წერაკითხვის უცოდინართა რიცხვი 80%-მდე ითვლება, ხოლო უკრაინის დანარჩენ ნაწილებში ეს პროცენტი 72-დან 83%-მდე არის.

ამ რიცხვის შემდეგ საჭირო არ არის მივმართოთ ფილოლოგიის

ავტორიტეტების აზრს, ან სანქტ-პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის 1905 წლის დადგენილებას, რომელნიც ადასტურებენ, რომ რუსული და უკრაინული ორი სხვადასხვა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ენაა. საჭირო არ არის იმის გახსენებაც, რომ უკრაინელთა ლიტერატურა თავისი სიმდიდრით და მრავალფეროვნებით არც ერთს სლავიანურ ენის ლიტერატურას არ ჩამორჩება.

გადავიდეთ ისტორიაზე...

მან გასთხარა გარდაუვალი უფსკრული უკრაინელთა და რუსთა შორის. აღმოსავლეთის სლავიანები უკვე IX საუკუნეში იყოფიან ორ უმთავრეს ჯგუფად: სამხრეთის ჯგუფი, რომლისგანაც გამოვიდნენ უკრაინელები და ჩრდილოეთის ჯგუფი, რომლის ფინური თათრების რასასთან შერევის შემდეგ წარმოსდგა თანამედროვე რუსის ხელით. IX ს-ში უკრაინელთა შორის დნეპრის ნაპირზე აღმოცენდა მძლავრი სახელმწიფო, რომლის ცენტრი იყო ვაჭრობით მდიდარი ქალაქი კიევი. ამ კიევის სახელმწიფომ დაიმორჩილა ჩრდილოეთის ჯგუფი და უწოდა სახელად „რუსი“, ისევე როგორც დამპყრობელმა გერმანელებმა დაპყრობილ ერს უწოდეს „ფრანგები“. ამას მოჰყვა წინააღმდეგობა სამხრეთ და ჩრდილოეთ სამთავროთა შორის. სამხრეთის სამთავროები, რომელთა ცენტრები იყვნენ კიევი და ჰალიჩი (აღმოსავლეთ გალიცია), დასუსტდნენ მონღოლთა შემოსევებით XI საუკუნეში და დაემორჩილნენ ლიტვა-პოლონეთის ბატონობას. ჩრდილოეთის სამთავრობები, რომლებიც ვლადიმირისა და მოსკოვის გარშემო იკრიბებოდნენ და თათრების მოხარკეებად ითვლებოდნენ, თანდათან გაიზარდნენ და გადაიქცნენ მოსკოვის იმპერიად, რომელსაც პეტრე დიდის დროს ეწოდა სახელად რუსეთის იმპერია.

მაშასადამე, ცხადია, რომ რუსეთის პრეტენზიები უკრაინაზე ისეთივე სამართლიანია, როგორი სამართლიანიც იქნებოდა გერმანიის პრეტენზიები ფრანგებზე, ან ფრანგებისა გერმანელებზე.

საფრანგეთი და გერმანია შეადგენდნენ განუყოფელ ნაწილებს შარლემანის ფრანგთა იმპერიის ისევე, როგორც რუსები და უკრაინელები ერთ დროს შეერთებულნი იყვნენ კიევის მთავარ ვლადიმერ დიდის სკიპტრის ქვეშ. მაგრამ რუსეთი ემყარება ცრუ-ხმოვანობას ძველი სახელმწიფოს სახელისას, აცხადებს თავის თავს ძველი კიევის ქვეყნის მემკვიდრედ და XIV ს-დან იწყებს „მეგროვებას“ „რუსების“ ქვეყნებისას.

უკრაინელებმა XVI და XVII საუკუნეებში შექმნეს მებრძოლი მილიციები ზაპოროჟიელ ყაზახებსა და 1648 წელს ისინი იცავდნენ თავიანთ თავისუფლებას პოლონელებისაგან. ყოველის მხრიდან შენუხებული უკრაინის ნორჩი სახელმწიფო იძულებული გახდა კავში-

რი ედია თავის თანამორწმუნე რუსებთან და ეცნო თავის თავი ვასალურ სახელმწიფოდ (1654 წლის პერეიასლავის შეერთება); მაგრამ რუსეთმა უღალატა თავიას ნამეტნავად გულუბრყვილო მეზობლებს: მან გააჰყო უკრაინა თავისა და პოლონეთს შორის, გააუქმა რუსეთისაგანვე დაპირებული უკრაინის ავტონომია, გაარუსა უკრაინის ეკლესია (უწინ ავტოკეფალური) და დაიწყო ომი უკრაინელთა ენის, ზნე-ჩვეულებების, ლიტერატურის და კულტურის მოსასპობად.

პოლონეთის გაყოფის შემდეგ უკრაინის ჩაგვრა უფრო იზრდება; უნიატური (უკრაინელთა შორის ძალიან გავრცელებული იყო უნიატური სარწმუნოება ე. ი. ბერძნული, მაგრამ პაპის უფროსობის აღმსარებელი – შენიშვნა გ. კერესელიძის) სარწმუნოება, რომელსაც იზიარებდა აღმოსავლეთ უკრაინის მცხოვრებთა დიდი ნაწილი, სავსებით იქნა აკრძალული და 1876 წელს გამოვიდა რუსის ხელმწიფის „უკაზი“ (ბრძანება), რომელიც ჰკრძალავდა ბეჭდვას უკრაინელთა ენაზე. ეს იყო უკანონო, ძალმომრეობითი, უმაგალითო ზომა, რომელიც 30 წლის განმავლობაში სასტიკად სჩაგრავდა უკრაინელ ერს.

ახლა რუსის ქვეყნების შემკრებნი მოვიდნენ აღმოსავლეთ გალიციაში მის „გასათავისუფლებლად“. რუსები გალიციის მცხოვრებლებისგან, როგორც „განმათავისუფლებლები“ ისე კი არ იქნენ მიღებულნი, არამედ მხოლოდ ზოგიერთი რუსოფილისაგან, რომელთაც რუსის მანეთის წყალობით დაიკმაყოფილეს პირადი სურვილები. გალიციის უკრაინელებისათვის რუსების მიერ მათ ქვეყანაში შესვლა იყო განთავისუფლება... ოღონდ მათი ეროვნული და პოლიტიკური ცხოვრებისაგან. მათ ეროვნებას რუსებისაგან სიკვდილით დასჯა აქვს მისჯილი (ხაზგასმა ჩემია – გ. ს.).

ავსტრიის მთავრობამ გალიციის უკრაინელებს მიანიჭა იგივე უფლებანი, რაც ავსტრიის სხვა ერებს, მაგრამ სინამდვილეში ისინი (უკრაინელები) იჩაგრებოდნენ და საშუალება არ ჰქონდათ თავის განთავისუფლებისა პოლონელებისაგან, რომლებსაც მეტი გავლენა ჰქონდათ გალიციაში. მიუხედავად ამისა, უკრაინელებმა მიაღწიეს თავისი ენით ესარგებლათ ადმინისტრაციაში, ეკლესიაში, სკოლებსა და უნივერსიტეტში, რითაც ბევრის გაკეთება მოასწრეს თავიანთი ერის გონებრივი, ეროვნული თვითშეგნების და ეკონომიური წინსვლის მხრივ.

გალიციაში რუსების შემოჭრამ ერთბაშად დაანგრია მრავალი წლის ნამუშევარი: აკრძალულ იქნა უკრაინული ენა – ადმინისტრაციაში, სკოლებსა და ეკლესიაში. ამასთანავე რუსებმა აკრძალეს ყველა უკრაინული გაზეთი, დაანგრიეს უკრაინული ბიბლიოთეკები,

კერძო პირებსაც კი წაართვეს უკრაინულად დაბეჭდილი წიგნები, რუსეთში გაიტანეს ეროვნული მუზეუმების კოლექციები. აკრძალეს უკრაინელთა ყველა კავშირი და საზოგადოება, ხოლო ასეულობით პატივცემული გალიციელი უკრაინელი ციმბირში გაასახლეს.

უწიატური ეკლესია, რომელსაც ყოველი გალიციელი უკრაინელი ეკუთვნის, აგერ უკვე ორ საუკუნეზე მეტია (გალიციაში პირველი მსოფლიო ომის წინ თითქმის არც ერთი მართლმადიდებელი ეკლესია არ იყო), რომელიც გახდა უკრაინელთა ეროვნულ ეკლესიად, ახალის სისასტიკით იქმნა დევნილი. ამ ეკლესიის თავი არქიელ-მიტროპოლიტი, გრაფი ანდრია სცეპტისკი, გადასახლებულ იქმნა კურსკში, შიდა რუსეთში; დიდძალი სამღვდლოებაც გადაასახლეს და სოფლის მცხოვრებნი დამაშვრულნი და დაშინებულნი, რუსეთისაგან ჩამოყვანილი მღვდლებისაგან ძალდატანებით, მუქარით და დაპირებებით იქვნენ გადანათლულნი მართლმადიდებლად.

უწიატურ, ე. ი. კათოლიკურ ეკლესიებში, ვილონის მართლმადიდებელ ეპისკოპოს ევლოგის, განთქმულ პროზელიტების შემქმნელის ბრძანებით და მისი მაგალითის მიხედვით, დაიწყო მართლმადიდებელთა წესით წირვა-ლოცვა. დაიწყეს უწიატურული ეკლესიის მართლმადიდებლად გადაკეთება იმ ტყუილი მიზეზით, ვითომც უკრაინული ეკლესიები ამ სამასი წლის წინად მართლმადიდებელს ეკუთვნოდნენ და ამიტომ ისევე მას უნდა დაუბრუნდნენო.

თვით მკითხველმა განსაჯოს, თუ მართლმადიდებლობის შემოღება, საეკლესიო სლავიანურ-რუსული წირვა, უკრაინელებისათვის გაუგებარ რუსულ ენაზე ქადაგება და ღმერთთან დედა-ენაზე ბაასის აღკრძალვა, ნიშნავს დაბრუნებას წინაპართა სარწმუნოებისადმი“ [19].

აღნიშნულ წერილისადმი თანდართულ კომენტარში გ. კერესელიძე წერდა: „ჩვენ ეს წერილი მთლიანად მოვიყვანეთ იმიტომ, რომ მეტად საყურადღებოდ მიგვაჩნია ქართველი მკითხველისათვის.

ეს წერილი ცხადად გვიჩვენებს რუსის ყოფაქცევის ხასიათს, მისი პოლიტიკის სახეს.

განა იგივე და მეტიც არ გადაიტანა ჩვენმა ერმა? დაჩაგრული დიდი ხნის შეუწყვეტელი ბრძოლით თავის სარწმუნოების, ენის და მათზე აღმოცენებული კულტურის დასაცველად?... მაგრამ ქართველმა ერმა სძლია წარმოუდგენელ გასაჭირს, გაამაგრა ქრისტიანული პრინციპები, გამოარკვია თავისი საკუთარი ეროვნული ფიზიონომია, შექმნა თავისი ისტორია და კულტურა ეროვნულ სარწმუნოებაზე განმტკიცებული...” [19].

„ძღვევამოსილმა ისლამმა ვერაფერი დააკლო პატარა საქართვე-

ლოს. ქართველი ერის სიმტკიცემ გადაარჩინა ქართველობა და მისი კულტურა, სარწმუნოება ხანგრძლივს, შეუწყვეტელს განსაცდელს... მაგრამ, რაც ვერ დააკლო მას მებრძოლმა მტერმა, ის შეუსრულა „ერთმორწმუნე“ რუსეთმა ისევე, როგორც უკრაინაში, რუსეთმა ისარგებლა ჩვენის ხანგრძლივ ბრძოლაში დაღლით, მოტყუებით და ფიცის გატეხით გვიგდო ხელში, მოგვისპო დამოუკიდებელი ეკლესია და გაგვიბატონა „რუსული ეკლესია“... თანდათან, ხან ძალით და მოტყუებით, ხან სატანური ხრიკებით, გახრწნა ქართველი ერი, დააშორა ერიმორეს საქართველოს ნაწილები და ცალ-ცალკე დამორჩილა, გაანადგურა ისინი.

ჩვენ გვაქვს იმედი, რომ ჩვენი ერი არ მომკვდარა, რომ მასში კიდევ ღვივის სიცოცხლის ძალა... ყოველი შეგნებული ქართველის უწინარესი მოვალეობაა გაჰკაფოს გზა და აჩვენოს ერს გამოსავალი“ [19].

უკრაინის საკითხზე საუბარს შემდეგშიც არაერთხელ უბრუნდება „ქართული გაზეთი“ და არც თუ იშვიათად თავის მკითხველებს აცნობს ევროპის პრესაში დასტამბულ მასალებს. სამაგალითოდ მოვიტანთ გაზეთ „ლა რევიუ უკრაინენ“-ში გამოქვეყნებული წერილის ერთ ნაწყვეტს: „რუსის მთავრობა მუდამ სცდილობდა, დაეხრჩო უკრაინის პოლიტიკური პიროვნება და კონსტიტუციური ავტონომია. უკრაინულ ენას სიკვდილი მიუსაჯეს. უკრაინელთა ენაზე დიდი ხნის განმავლობაში აღკრძალულ იყო წიგნების ბეჭდვა, წარმოდგენების გამართვა, მოხსენებები. 1863 წლის შემდეგ, როდესაც რუსეთმა უკრაინული ენა აკრძალა, უკრაინული ლიტერატურის მშვენიება, პოეტი შეფჩენკო და ისტორიკოსი კოსტომაროვი, თავიანთ მოქმედებას განაგრძობენ რუსეთის საზღვრებს მიღმა – გალიციასა და ლემბერგში. იქ დაბეჭდილი წიგნების შეტანა აკრძალული იყო რუსეთის საზღვრებში, სადაც მისი მთავრობა შეუწყნარებელ ბრძოლას განაგრძობდა უკრაინელთა ენისა და ეროვნების წინააღმდეგ, რაც განაპირობებდა უკრაინელთა დაუმორჩილებლობას რუსეთის ბიუროკრატიული რეჟიმისადმი“ [21, 7].

„ქართულ გაზეთს“ ასევე საინტერესოდ მიაჩნია – იტალიურ გაზეთ „ილ რესტო დელ კარლინის“ მოსაზრება რუსთა და უკრაინელთა განსხვავებულობის შესახებ და შესაძლებლობას აძლევს ქართველ მკითხველს გაეცნოს მას:

„რუსეთის იმპერიის იმ ნაწილებში, სადაც რუსები და უკრაინელები სცხოვრობენ სხვა ერების შეურევლად, აშკარად შეამჩნევთ უკრაინელთა ტანისა და სახის სილამაზის უპირატესობას. უკრაინელთა ქალი დასაჩუქრებელია გამომეტყველების სინაზით, თვალე-

ბისა და ხმის სიტყბოთი. მათი სინაზე მეტად აღემატებოდა რუსის ქალისას... უკრაინელი ქალი ბევრად უფრო სუფთად და მონყობილად ინახავს თავის ღარიბ სახლს (ოჯახს), ვიდრე რუსის ქალი. ყველაფრის განხილვის შემდეგ უეჭველი ხდება, რომ უკრაინელები ბევრად უფრო მაღლა სდგანან რუსებზე ბუნებრივი ჭკუა-გონებით, იუმორის გრძნობით და ბუნებრივი გემოვნებით..." [11, 7].

იქვე ქართული გამოცემის რედაქცია კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რით იყო განპირობებული ამგვარ ფაქტებზე ყურადღების გამახვილება:

„ჩვენ გაზეთში უკვე გამოვთქვით ის აზრი, რომ საჭიროა ჩვენმა ხალხმა, რაც შეიძლება უკეთ გაიცნოს უკრაინელები, რადგან ბევრი გვაქვს საერთო ინტერესი და უეჭველია, ერთად მოგვინდება მუშაობა. ამიტომ ხანდახან მოვიყვანთ ხოლმე ცნობებს ამ ერის შესახებ“ [11, 7].

„ქართულ გაზეთში“ გამოქვეყნებულ მასალათაგან არა მხოლოდ იმ დროს, არამედ დღესაც განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს დიდი ქართველი მეცნიერისა და მამულიშვილის მიხ. წერეთლის პუბლიკაციები. მათ შორის გამორჩეულია მისი გამოსვლა ქ. ლოზანაში, 1916 წლის ივლისში გამართულ ერთა მესამე კონგრესის მონაწილეთა წინაშე:

„ჩვენ ძლიერ ბევრი ტანჯვა გამოგვივლია და ამიტომაც არ გვიყვარს ბევრი ლაპარაკი, – აღნიშნავდა იგი, მაგრამ ეხლა, როდესაც ჩვენს თვალწინ ხდება მთელს ქვეყანაზე დიდი პოლიტიკური ცვლილება, მიგვაჩნია საჭიროდ, ხმა ავიმალლოთ და დავიცვათ ჩვენი კანონიერი უფლებანი... გვინდა მთელს კაცობრიობას ვაცნოთ რუსის მთავრობის ვერაგობა და ღალატი ქართველი ერის მიმართ. რუსის მთავრობამ ერთ საუკუნეზე მეტია, რაც ქართველ ერს აჰხადა ყოველივე უფლება და აწამა იგი, წინააღმდეგ ყოველივე სამართლისა და სამართლიანობისა... თუ საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო ზნეობა არ გამქრალან, თუ სამართლისა და ზნეობის შეგნება ერთა შორის არ აღკვეთილან, მაშინ ჩვენცა გვაქვს უფლება ვეკუთვნოდეთ კაცობრიობას და მის წინაშე სამართალი ვეძიოთ.

რუსის იმპერატორებმა და მათმა მთავრობამ დაარღვიეს ის ხელშეკრულებანი, რომელნიც მათ საერთაშორისო სამართლის თანახმად საქართველოსთან ჰქონდათ დადებული; ფეხქვეშ გასთელეს მათივე დანაპირები და მოსპეს ის გარანტიები, რომელნიც მათ აღუთქვეს ქართველ ერს თავიანთ მანიფესტებში..."

„1796 წელს გარდაიცვალა ეკატერინე და რუსეთის ტახტზე ავი-

და იმპერატორი პავლე I და აქედან დაიწყო გადარეული პოლიტიკა ამ შერყეული და ავადმყოფი ხელმწიფისა. მან უკან დააბრუნა ჯარები, რომლებიც სპარსეთში იბრძოდნენ. „ქართული საკითხი“ მას ავადმყოფობად გადაეცა და არ ასვენებდა. მან ბრძანება გასცა შეექმნათ „ფედერატიული სახელმწიფო საქართველოს სამთავროთაგან“, რომელიც მასზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული, რადგანაც იგი ამ სამთავროთა უმაღლესი ბატონი“ იყო.

1798 წელს გარდაიცვალა ერეკლე მეფე და საქართველოს ტახტზე ავიდა მისი შვილი გიორგი XII, რომელსაც „მამისაგან არც დიპლომატიური და არც სამხედრო ნიჭი არ გამოჰყოლია“.

იმპერატორმა პავლემ შეიმუშავა ახალი პროექტი საქართველოსთან კავშირისა და გაგზავნა იგი საქართველოში. ამ პროექტის რატიფიკაცია უნდა მომხდარიყო იმის შემდეგ, რაც ქართველები მას მიიღებდნენ და მისი ელჩებიც პეტერბურგს დაბრუნდებოდნენ. მაგრამ სანამ რუსის ელჩები თბილისს მიაღწევდნენ, გიორგი XII გარდაიცვალა (1800 წლის 23 დეკემბერს). მისმა მემკვიდრემ თავდაზნაურობასთან და სამღვდელოებასთან ერთად განიხილა პავლე I პროექტი, ზოგიერთი ჩასწორებებიც შეიტანა მასში და გააგზავნა უკან – პეტერბურგს. ახლა კი პავლე I-ს ვეღარ ჩაუსწრეს ცოცხალს... ასე, რომ პროექტის რატიფიცირება არ მომხდარა და მას არავითარი იურიდიული ძალა და საერთაშორისო მნიშვნელობა არ შეუძენია. თუმცა მან, პავლემ, მოასწრო და 1800 წლის 11 იანვარს თვითნებურად გამოსცა სპეციალური მანიფესტი „საქართველო რუსეთთან შეერთებული ქვეყანა არისო“... „ეს ხელმწიფე სულით ავადმყოფი იყო და ხშირად ამბობდა: „მე ის მსურს, იგი ჰქმნან, რაც მე მსურსო“. მაშასადამე მისი მანიფესტი გიჟის ნების ნაყოფი იყო! თუმცა გიჟი მამის ეს აქტი აღიარა და დაამტკიცა ალექსანდრე I-მა 1800 წლის მანიფესტით“ – დაასკვნიდა მიხ. წერეთელი [28, 6-7].

ასე, რომ საქართველო რუსეთისაგან დაპყრობილი ქვეყანა არ ყოფილა, ხოლო ვისაც ასე ჰგონიათ, მათ არ იციან არც კავკასიის გეოგრაფია, არც მისი ეთნოგრაფია და არც მისი ისტორია“, რომ „საქართველოს უჭირავს ამიერკავკასიის დასავლეთი და ცენტრალური ნაწილი – გუბერნიები თბილისისა და ქუთაისისა, ბათუმის, სოხუმისა და ნახევარი ყარსის და ზაქათალის ოლქებისა. ეს იყო ის მიწა, რომელზედაც განვითარდა საქართველო მის ორი ათასი წლის ისტორიის განმავლობაში... და დღესაც ამავე ადგილზე ადგია ქართველ ერს რუსის მონობის უღელი“ [26, 2-3].

„ქართულ გაზეთში“ არაერთი საინტერესო მასალაა დაბეჭდილი ფრონტის ხაზთან ახლო მდებარე აჭარის შესახებ, რომლის ქართვე-

ლი მოსახლეობა თვითმყრობლური ხელისუფლების მიერ მუსლიმანური სარწმუნოებისა გამო არასაიმედოდ იყო მიჩნეული და აიძულებდნენ მას, თავიანთი საცხოვრისი მიეტოვებინათ. მათ მიწებზე კი რუსებთან ერთად, სხვა ერთა წარმომადგენლებს ასახლებდნენ. ასეთი უსამართლობის გამო უკმაყოფილებას გამოთქვამდა ქართველი მართლმადიდებელი მოსახლეობა. ზოგჯერ ისიც ხდებოდა, რომ ოსმალეთში გახიზნულ აჭარლებს უკან დაბრუნების უფლებას კი აძლევდნენ, მაგრამ თავიანთ ნაფუძვარზე ცხოვრების გაგრძელების შესაძლებლობას – არა. თუ რატომ ხდებოდა ასე, საუბარია რუსეთის დუმის დეპუტატის, აკაკი ჩხენკელის გამოსვლაში, რომელიც „ქართულ გაზეთშია“ დაბეჭდილი: „ეხლანდელი მეფისნაცვალი (გულისხმობდა ნ. რომანოვს – გ. ს.), მომხრეა აჭარლები თავიანთ მიწა-წალზე დაბრუნდნენ. მაგრამ ის კი არ კმარა, რომ მათ მხოლოდ საშუალება ეძლევათ დაბრუნებისა. საჭიროა, მთავრობამ სასტიკი განკარგულება მოახდინოს, რათა აჭარლები თავიანთ ადგილებს დაუბრუნდნენ. ჯერ კიდევ გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის დროს სცდილობდნენ აჭარლებისათვის ადგილები ჩამოერთმიათ და უცხოთათვის გადაეცათ. ამგვარი ცდა დღესაც არის: ჰყიდიან აჭარელთა მიწა-წყალზე მოსულ ჭირნახულთ და მათ მიწებსაც უცხოელებს იჯარით აძლევენ. აჭარაში 80 სოფელი ხუთი ათას ცხრაას სამოცდათოთხმეტ მანეთად და სამოცდახუთ კაპიკად (5.974 მან. 65 კაპ.) იჯარით გასცეს. ამგვარი პოლიტიკა დიდ ალელვებას იწვევს ქართველთა შორის, მიუხედავად პოლიტიკური მიმართულებისა. ცენზურა ქართველთა გულისწყრომას არ უშვებს, აჭარის შესახებ დეპუტატთა სიტყვებს იჭერენ.

აჭარელთა მიწების გადაცემა სომხების ხელში იწვევს აღშფოთებას არა მარტო ქართველ საზოგადოებაში, არამედ თვით სომხის დემოკრატიულ პრესაშიც. აჭარელთა მიწებს რომ სომხები ეპატრონებიან, ეს გარემოება კავკასიაში ისეთ მდგომარეობას ჰქმნის, რომ მშვიდობიანი ცხოვრება შეუძლებელი ხდება.

აჭარის მიწებს მხოლოდ იჯარით რომ აძლევენ, ოფიციალური წყაროებით შემოიძლია დაგიმტკიცოთ, რომ ერთმა მინისტრთაგანმა უკვე ამოიჩნია თავისთვის სამასი (300) დესეტინა მიწა და უნდა თავის სახელზე დაიმტკიცოს“ (მემარცხენეებიდან აღშფოთების ხმა) [25, 8].

„ქართული გაზეთის“ მთავარი პუბლიცისტი, რომელიც თავის ნაწერებს „კ...“-ს ინიციალით აწერდა ხელს, ლეო კერესელიძის უმცროსი ძმა, მე-40-ე ნომრიდან ამავე გაზეთის რედაქტორი, გიორგი კერესელიძე იყო. იგი ერთ-ერთ წერილში, როცა ქართული ეკლესი-

ის ავტოკეფალიის, დამოუკიდებლობის შესახებ ამახვილებდა ყურადღებას, აღნიშნავდა: „მარტო ეკლესია კი არ ელუპება ქართველ ერს, არამედ მთელი მისი არსებობა არის განსაცდელში.“

დიდი მნიშვნელობა აქვს ეკლესიის დამოუკიდებლობას, მის ნორმალურ ყოფას, როგორც ყოველი ერისათვის, აგრეთვე ქართველი ერისათვის, მაგრამ თუ თვით ერის არსებობა განსაცდელშია, მარტო ეკლესიის აღორძინება ვერას უშველის.

რა უნდა გვიშველოს მარტო ეკლესიამ, თუ დანარჩენი ყოველი დარგი ჩვენი ეროვნული სიცოცხლისა მუდამ განსაცდელში იქნება და მუდამ აგონიაში ვიქნებით?

მეტყვიან: ეკლესიის თავისუფლება ერთი იმ წამალთაგანია, რომელიც ჩვენს ავადმყოფ მდგომარეობის გამოკეთებას შეუწყობს ხელსო.

კი, მაგრამ ეს წამალი არაფერ სარგებლობას არ მოგვიტანს, თუ მთელი ორგანიზმი არ მოვაშორეთ იმ პირობებს, რომელნიც შხამავენ მთელს ორგანიზმს და უმზადებენ მას სიკვდილს, ანუ როდესაც მთელ ორგანიზმს უქადის გახრწნა, მაშინ ერთი ნაწილის წამლობა უნაყოფოა....

ჩვენ რომ ჩვენი სახელმწიფო ხელიდან არ გაგვეშვა, ჩვენი ეკლესიაც თავისუფალი იქნებოდა.

ჩვენ საკმარისად ვიცნობთ რუსის პოლიტიკას. დღეს რომ რაიმე დაგვითმოს, ხვალ ისევ წაგვართმევს, თუ ამის შესაძლებლობა ექნება. საჭიროა ამ შესაძლებლობის მოსპობა... ამის წამალი არის ერთადერთი: „საქართველოს სვე-ბედი ჩაჰბარდეს ქართველ ერს“.

მეტყვიან: რუსის სახელმწიფო ხომ უფრო ძალოვანია და მუდამ შეეძლება ძალით მოგვისპოს სახელმწიფოო...

სახელმწიფოს, რა გინდ პატარა იყვეს იგი, აქვს ისეთი საშუალებები, როლითაც შეუძლია გაუმკლავდეს თავისზე დიდსა და ძალოვან სახელმწიფოს და დაიცვას თავის ინტერესები. ეს არის საგარეო პოლიტიკა, რომლის წარმოება მარტო დამოუკიდებელ ერს შეუძლია“ [15, 4].

გაზეთის მომდევნო ნომერში, გ. კერესელიძე საინტერესო მოსაზრებას აყალიბებდა ქართველი ერის სამომავლო აღორძინება-განვითარებისა და განმტკიცების გზებზე და აღნიშნავდა, რომ ამ საქმეში ხელშემშლელ ფაქტორად არ უნდა ქცეულიყო სარწმუნოებრივი განსხვავებულობა ან, რომელიმე კუთხისათვის პრივილეგიების მინიჭება.

„ერის აღორძინება, განვითარება და განმტკიცება შესაძლებელია მხოლოდ ერის შეკავშირებით და ერთსულოვნებით. ერთსუ-

ლოვნება კი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც საბოლოოდ და ღრმად შევიგნებთ, რომ ქართველი ერი არის განუყოფელი, რომ ქართველობის მონოპოლიაზე არც ერთს მის ნაწილს არა აქვს უფლება; რომ ყოველი ქართველი, რა ეკლესიასაც გინდა ეკუთვნოდეს იგი, არის ქართველი და აქვს იგივე უფლება ჩვენს წარსულზე, როგორც დანარჩენ ქართველებს; რომ ქართველ ერს აქვს სხვადასხვანაირი სარწმუნოება; რომ ქართველი ერის მინა-წყალზე ყოველ სარწმუნოებას და სჯულს აქვს თანასწორი უფლება; რომ ქართველი ერის ერთი ნაწილი ღრმა პატივს სცემს მეორე ნაწილის სარწმუნოებასა და სჯულს; რომ საქართველოში არ არსებობს ქართველი ერის ერთი სარწმუნოება ან სჯული, რომელსაც ჰქონდეს მისი მეორე ნაწილის მეორე სარწმუნოებაზე მეტი უფლება. ანუ უნდა გვახსოვდეს, რომ ქართველ ერს აქვს უფლებით თანასწორი რამდენიმე სარწმუნოება და სჯული“ [28, 2].

მოგვიანებით, როცა გარეშე და შინაური მტრები, დიდ ძალისხმევას იჩენდნენ დედა-სამშობლოსაგან აჭარის ჩამოსაშორებლად, შესაძლებელია „ქართული გაზეთისა“ და მისი რედაქტორის ამ სიტყვებმაც იქონია გავლენა, ბათუმში გამართულმა მაჰმადიან ქართველთა ყრილობამ თავის გადანვეტილებაში რომ ჩასწერა: „ბათუმის ოლქის მუსლიმანთა წარმომადგენლები, რიცხვით ასი კაცი, ღვთისა და ქვეყნის წინაშე ვაცხადებთ, რომ ოლქის მკვიდრნი, სარწმუნოებით მუსლიმანები, ისტორიით, სისხლით და ხორციით, კულტურით და ადათებით ვართ მუსლიმანი ქართველები და ტერიტორიულად და ეკონომიურად ყოველთვის ჩვენი მხარე დედასამშობლოს – საქართველოს განუყოფელ ნაწილს შეადგენდა“ (1919 წლის 31 აგვისტო).

აღნიშნული დადგენილება ეცნობა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას თბილისში და საზავო კონფერენციის მონაწილეებს პარიზში.

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“, 1913-1914 წლების კომპლექტები.
2. გაზეთი „ქართული გაზეთი“, 1916-1918 წლების კომპლექტები.
3. კილურაძე გ., ნარკვევები I მსოფლიო ომის მომზადების ისტორიიდან, თბილისი, 1960.
4. კობახიძე გ., I მსოფლიო ომის დროის მოქმედი „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“, მოკლე ისტორია, ბერლინი, 1954.

5. გრძელიძე რ., საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი (1914-1918), თბილისი, 1995.
6. საითიძე გელა, პეტრე სურგულაძის საგამომცემლო-პუბლიცისტური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა, თბილისი, 2009.
7. საითიძე გელა, ჟურნალი „კლდე“ (1912-1915), თბილისი, 2003.
8. საითიძე გელა, „სწამდა სასამშობლოს აღორძინება (გენერალი კონსტანტინე აფხაზი), თბილისი, 1997.
9. სალია კალისტრატე, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი I მსოფლიო ომის დროს (მასალები ისტორიისათვის), ჟურნალში: „ბედი ქართლისა“, პარიზი, 1962.
10. სვანიძე მიხ., ეროვნული ლეგიონი ოსმალეთში I მსოფლიო ომის დროს. გაზეთი „სამშობლო“ №7-10, 1992.
11. სურგულაძე ა., სურგულაძე კ., ქართული ლეგიონი თურქეთში, ბათუმი, 1994.
12. სურგულაძე პ., საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, სტამბოლი, 1918.
13. ტაბალუა ი., საქართველოს საგარეო ურთიერთობების ისტორიიდან, თბილისი, 1994.
14. შარაძე გიორგი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეროვნული ცენტრი ჟენევაში და პოლიტიკური ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, თბილისი, 2006.
15. შარაძე გურამ, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია. ტ. I, თბილისი, 2001.
16. ჯანელიძე ო., ქართული ემიგრანტული პრესის ისტორიიდან (ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“), კრებულში: „საისტორიო შტუდიები“, I, თბილისი, 2000.
17. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (ქსე), ტ. I, თბილისი, 1975.
18. ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“, №1, 1913.
19. ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“, №3, 1914.
20. ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“, №4, 1914.
21. გაზეთი „ქართული გაზეთი“, №1, 28 მარტი, 1916.
22. გაზეთი „ქართული გაზეთი“, №5, 1 ივნისი, 1916.
23. გაზეთი „ქართული გაზეთი“, №6, 15 ივნისი, 1916.
24. გაზეთი „ქართული გაზეთი“, №11, 1 ივლისი, 1916.
25. გაზეთი „ქართული გაზეთი“, №12, 16 სექტემბერი, 1916.
26. გაზეთი „ქართული გაზეთი“, №13, 1 ნოემბერი, 1916.
27. გაზეთი „ქართული გაზეთი“, №16, 15 ნოემბერი, 1916.
28. გაზეთი „ქართული გაზეთი“, №25, 1 აპრილი, 1917.

Gela Saitidze

Doctor of Historical Sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Chief Scientist of the Department of Modern and Contemporary History, professor

World War I and „Georgian Gazette“, European Edition of the Committee for Independence of Georgia

Summary

In World War I two blocks of countries: the Entente (the UK, France, Russia and their allies) on the one hand and Germany, Austria-Hungary, the Ottoman Empire and their supporters on the other stood face to face. It should be said that in its final phase the unprecedented scale warfare involved 33 large and small states that lost over 10M people, with the number of wounded exceeding 25M. The war cost the humanity 58M gold manats.

The toll Georgia, a Russian colony at the time paid was no smaller: over 200 000 Georgians were on the battlefield and the country's southwestern regions were aflame.

A group of prominent Georgians inside and outside the country were thinking about the results the war could have for their nation, namely whether it could slip out of Russia's control. In this respect the Committee for Georgia's Independence established abroad had a somewhat freer hand than the other organizations pursuing the similar goal. Even before the war, through its „Free Georgia“ magazine and the „Georgian Gazette“ that came out during the war, the Committee tried to inform the Georgians how to go on with their struggle for political autonomy and who could be their potential supporters. The Committee viewed care for thousands of the Georgian prisoners of war (POW), most of whom could not speak a foreign language, as its top priority.

Those are the issues the paper deals with.